



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030430528151917

04-186/ო

06 / აპრილი / 2017 წ.

„დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, **400 000** მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შესახებ

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 ნოემბრის N4727 წერილის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (ლ. მამულაშვილი):

ა) უზრუნველყოს „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, **400 000 მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონის** გამარტივებული შესყიდვის საკითხის შეთანხმება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღების შემდგომ, დაიწყოს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.


2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების შესრულებისთვის აუცილებელი, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში ასატვირთი კითხვარი - წინამდებარე ბრძანების დანართი N1.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144) ან სასარჩელო განცხადებით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

1. რა არის შესყიდვის ობიექტი?

„დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, 400 000 მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონის შესყიდვა.

2. რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

მიმდინარე ეტაპზე, ანტიდიურეზული ჰორმონის მარაგი პრაქტიკულად ამოწურულია, რაც ცალსახად გამოიწვევს სახელმწიფო პროგრამის უწყვეტობის დარღვევას, საფრთხეს შეუქმნის შესაბამისი კატეგორიის პაციენტთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

3. რამ გამოიწვია გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა?

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ N13 დანართის („დიაბეტის მართვა“) მე-3 მუხლის „გ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახორციელებს ადიურეზული ჰორმონის შესყიდვას, უშაქრო დიაბეტით დაავადებულ პირთა მედიკამენტით უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდის განმავლობაში, 2017 წლამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, მუდმივად ხდებოდა ნაზალური (ცხვირის წვეთების) ფორმის მედიკამენტის შესყიდვა („დესმოპრესინი 100მკგ/მლ 5მლ“). ამასთანავე, როგორც უკვე გაცნობეთ SMP170000682 წარმოდგენისას, მიმდინარე წლის 22 თებერვალს შეწყდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ს/ს „ეი ბი სი ფარმაცის“ შორის, SPA160030577 ელექტრონული ტენდერის შედეგების შესაბამისად, 2017 წლის 16 იანვარს გაფორმებული N35030302/17-7 ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, სათანადო კატეგორიის პაციენტთა ანტიდიურეზული ჰორმონით (მედიკამენტის სავაჭრო დასახელება - „მინირინი“ 0,2მგ აბი) უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, მიმდინარე წლის 7 მარტს გამოცხადდა ხელახალი ტენდერი (SPA170003843), „ანტიდიურეზული ჰორმონის“ (ცხვირის წვეთები და/ან სფრეი და/ან აბები და/ან პერორალური ლიოფილიზატი) შესყიდვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ტენდერის ღირებულება განისაზღვრა „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილების მე-13 დანართის მე-8 მუხლით („უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტი) დადგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, სადაც დარჩენილი ფულადი რესურსი შეადგენდა 81 775 (ოთხმოცდაერთი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარს (სასაქონლო გამოსახულებაში - 4 247 472 მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონი). ამასთანავე, SPA170003843 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ორგანიზაციას და, შესაბამისად, ტენდერს მიენიჭა სტატუსი - „არ შედგა“.

4. რატომ ვერ იქნებოდა ვითარება წინასწარ განსაზღვრული?

იმ შემთხვევაში, თუ SPA170003843 ელექტრონულ ტენდერში გამოვლინდებოდა გამარჯვებული, ამავე ტენდერის ფარგლებში განხორციელებული საქონლის პირველი პარტიის მოწოდება შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვეცვა პროგრამის უწყვეტობა და მოგვეხდინა სათანადო კატეგორიის პაციენტთა უზრუნველყოფა სამკურნალო საშუალებით. შესაბამისად, ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

5. რა რეალური საფრთხე ექმნება შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას?

საფრთხე ექმნება სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას - „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის უწყვეტობას, პაციენტთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

6. ხომ არ აყენებს ვითარება მნიშვნელოვან ზიანს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას? რატომ?

ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს - „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის უწყვეტობას, პაციენტთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

7. ხომ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „არ შედგა“ ან „შეწყვეტილია“ მინიჭების მიზეზით? (კი/არა)

* [თუ გამოწვეულია] გთხოვთ მონიშნოთ ტენდერის/კონკურსის სტატუსი.

არ შედგა

* [თუ გამოწვეულია] ხელშეკრულების დადებით ხომ არ უარესდება სატენდერო/საკონკურსო პირობები? (კი/არა)

კი

*** [თუ იცვლება პირობები] გთხოვთ დაასაბუთოთ, რატომ ვერ იქნება დაცული სატენდერო/საკონკურსო პირობები?**

სააგენტომ, 2017 წლის 7 მარტს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, ანტიდიურეზული ჰორმონის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, რომელსაც მიენიჭა სტატუსი - „არ შედგა“.

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, განვმარტავთ შემდეგ ობიექტურ გარემოებას (გარემოებებს) - SPA170003843 ელექტრონული ტენდერის უშედეგოდ დასრულების შემდგომ, განხორციელდა ბაზრის მორიგი კვლევა ანტიდიურეზული ჰორმონის სავარაუდო ღირებულების დადგენის, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე მცირე მარაგის შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების მიზნით. სახელდობრ, სათანადო ინფორმაცია აიტვირთა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (www.spa.ge), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (www.moh.gov.ge) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (www.ssa.gov.ge) ვებ-გვერდებზე, ასევე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, წერილები დაეგზავნა საქართველოში ოპერირებად ფარმაცევტულ კომპანიებს. გამოხმაურება მივიღეთ მხოლოდ 2 პოტენციური მიმწოდებლისგან - ს/ს „ეი ბი სი ფარმაცია“ და ს/ს „ბიოფარმი“. ამასთანავე, აღნიშნულმა კომპანიებმა შემოგვთავაზეს საქონელი, რომლის ღირებულება არსებითად განსხვავდებოდა SPA170003843 ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული ფასისგან, ისევე, როგორც, 2017 წლის საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში ჩატარებული ყველა სხვა ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებისგან (1 მიკროგრამი - 0.02 ლარი):

1. ს/ს „ეი ბი სი ფარმაცია“ შემოგვთავაზა მედიკამენტი „პრესინექსი“ - სპრეი ცხვირის, 0.1მგ(100მკგ)/1მლ 6მლ ფლაკონი N1; წარმოშობის ქვეყანა - იტალია, მწარმოებელი - ჰპ ტ.ს.პ.ა.; 1 მიკროგრამის ღირებულება - 0.02041 აშშ დოლარი; 1 ფლაკონის ღირებულება - 12.245 აშშ დოლარი; პირველი პარტიის მოწოდების ვადა - არა უგვიანეს 2017 წლის 20 ივნისისა (არ შეესაბამება ბაზრის კვლევის შესახებ განცხადებით განსაზღვრულ ვადას - არა უგვიანეს 2017 წლის 10 აპრილისა).

2. ს/ს „ბიოფარმი“ შემოგვთავაზა მედიკამენტი „დესმოპრესინი“ - 100 მკგ/მლ ცხვირის წვეთები, 5მლ ფლაკონში, პიპეტ- დოზატორით, N1; წარმოშობის ქვეყანა - საქართველო, მწარმოებელი - ს/ს „ბიოფარმი“. 1 მიკროგრამის ღირებულება - 0.04 ლარი (0.0164 აშშ დოლარი); 1 ფლაკონის ღირებულება - 20 ლარი (8.226 აშშ დოლარი); პირველი პარტიის მოწოდების ვადა - არა უგვიანეს 2017 წლის 10 აპრილისა.

შემდგომ, კიდევ ერთხელ მივმართეთ ს/ს „ეი ბი სი ფარმაციას“ და ს/ს „ბიოფარმს“ და ვთხოვეთ მაქსიმალური ფასდაკლება ფარმაცევტულ პროდუქტზე, რომლებმაც მოგვწერეს, რომ დამატებითი ფასდაკლების გაკეთების საშუალება ამ ეტაპზე არ შეუძლიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში მოსარგებლე ბენეფიციართა ანტიდიურეზული ჰორმონის შესყიდვა განვახორციელოთ SPA170003843 ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებულ ფასად.

ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ ანტიდიურეზული ჰორმონის მარაგი პრაქტიკულად ამოწურულია და შესყიდვის დაყოვნება გამოიწვევს წყვეტას სახელმწიფო პროგრამაში და, შესაბამისად, უშაქრო დიაბეტით დაავადებული პირების მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხში, მიზანშეწონილია განხორციელდეს სატენდერო პროცედურების დასრულებამდე და საქონლის შემოტანამდე საჭირო მცირე მარაგის (800 ფლაკონი) შექმნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე. შესყიდვის ღირებულებაა 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით განვმარტავთ შემდეგ საკითხსაც:

„უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში დარჩენილი ფულადი რესურსი შეადგენს 81 775 ლარს, რასაც უნდა გამოაკლდეს ზემოთ ნახსენები 16 000 ლარი (გამარტივებული შესყიდვის ღირებულება). შესაბამისად, კომპონენტში ასათვისებელი დარჩება 65 775 ლარი.

ამასთანავე, 2017 წლის საბიუჯეტო ასიგნებათა მიხედვით გამოცხადებული ყველა ელექტრონული ტენდერის (SPA160028069, SPA160030577, SPA170003843) სავარაუდო ღირებულება გაანგარიშებული იყო 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ჩატარებული SPA150034695 ელექტრონული ტენდერის ვაჭრობაში დაფიქსირებული ფასიდან, რა დროსაც შესყიდვის ღირებულება შემცირდა 222 172 ლარიდან 95 000 ლარამდე.

მიმდინარე ეტაპზე, აუცილებელია კიდევ ერთი ხელახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ანტიდიურეზული ჰორმონის შესყიდვის მიზნით. ამასთან, როგორც SPA160028069, SPA160030577 და SPA170003843 ტენდერებმა და ბაზრის შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, შესაბამისი საქონლის შესყიდვა, 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ჩატარებული SPA150034695 ელექტრონული ტენდერის ვაჭრობაში დაფიქსირებული ფასად, მიმდინარე ეტაპზე, პრაქტიკულად შეუძლებელია და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ იმავე ფასში გამოცხადებული ტენდერი ისევ ჩაიშლება და სააგენტო კვლავ დადგება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის წინაშე. ზემოთ აღწერილი მდგომარეობის გათვალისწინებით, სააგენტო, შესყიდვის საკითხს დამატებით შეათანხმებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სამინისტროს მხრიდან სათანადო გადაწყვეტილების/მითითების მიღების შემდგომ, დაუყოვნებლივ გამოცხადდება ხელახალი ტენდერი.

8. გთხოვთ მიუთითოთ ვადა, რომელიც საჭიროა ვითარების აღმოსაფხვრელად.

400 000 მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონის მოწოდება განხორციელდება არა უგვიანეს 11 აპრილისა.

9. გთხოვთ მიუთითოთ, თუ როდის დადგა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და რა ღონისძიებები გაატარეთ სააგენტოში მომართვის წარდგენამდე?

გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება დადგა SPA170003843 ელექტრონული ტენდერის უშედეგოდ დასრულების შემდგომ - 2017 წლის 28 მარტს.

სააგენტომ ჩაატარა ბაზრის დამატებითი კვლევა, სახელდობრ, სათანადო ინფორმაცია აიტვირთა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (www.spa.ge), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (www.moh.gov.ge) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (www.ssa.gov.ge) ვებ-გვერდებზე, ასევე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სათანადო წერილები დაეგზავნა საქართველოში ოპერირებად ფარმაცევტულ კომპანიებს.

10. გთხოვთ მიუთითოთ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა შექმნილი ვითარების აღმოსაფხვრელად.

400 000 მიკროგრამი ანტიდიურეზული ჰორმონი. აღნიშნული რაოდენობა წარმოადგენს მარაგს, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კატეგორიის პაციენტთა უზრუნველსაყოფად და გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამის უწყვეტობის დასაცავად (სათანადო მოხსენებითი ბარათი ატვირთულია ველში „დამატებითი დოკუმენტი“, ფაილის სახელწოდება - Moxs_Barati_04-6446)

11. რით დასტურდება, რომ შესასყიდი საქონლის რაოდენობა, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს მოცულობა არ აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესყიდვის მოცულობას?

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის 2017 წლის 29 მარტის N04-6446 მოხსენებითი ბარათით (ატვირთულია SMP მოდულის გრაფაში - "დამატებითი დოკუმენტი")

12. რა ვადაა საჭირო ხელშეკრულების გასაფორმებლად?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღებიდან იმავე ან მეორე სამუშაო დღეს.